თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

# ბრძანება

11 ოქტომბერი 2018 წ. თბილისი № 836/03

**„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 04 ოქტომბრის №606/03" ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების" მე-14 მუხლის და რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №606/03" ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით,

**ვბრძანებ:**

1. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ" რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №606/03 ბრძანების 1- ლი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ 2. სუვინა ანგელიქა ლევის- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;" თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის ნაცვლად ჩაირიცხოს თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მ/შ თ.კილასონიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი